მაიას თავზე ჯოხი გადატყდა

მაია კობახიძე გახლავთ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი. მისი ამბავი კი გახლავთ სწორედ საქართველოს მთავრობის შემარცხვენელი ისტორია.

უამრავ მიზეზესთა გამო მე გახლდით საქართველოს მხარდამჭერი. ქვეყანას გააჩნია მყარი პოზიცია, რომელიც უკავშირდება დასავლეთს. ევროსაბჭოს კონსერვატორი პარლამენტარები სამარცხვინოდ უჭერდნენ მხარს რუსებს 2008 წელს, როდესაც მათ დიპყრეს საქართველოს ტერიტორია და წარმოიქმნა 30 000 იძულებით გადაადგილებული პირი. კონსერვატორები, სტრასბურგში სხედან და მიეკუთვნებიან იმ ჯგუფს, რომელსაც ევროპის ხალხთა პარტია ჰქვია და რომელის წევრიც ასევე ბევრი კომპრომისის მოწინააღმდეგე რუსია.

საქართველოს მთავრობა სავაჭრო ბოიკოტირების მსხვერპლი გახდა მისივე ტრადიციული შემსყიდველიგან, რუსეთისგან. პოლიტიკური სარჩულის გამო რუსებმა გაავრცელეს უსაფუძვლო პანიკა, რომელიც ჯანმრთელობას ეხებოდა ქართული პროდუქტების შესახებ და ამით გაანადგურეს ვრცელი ქართული ბაზარი რუსეთში. ახლა ქართველები უიმედოდ ეძებენ ახალ ინვესტორებს. მაგრამ საქართველო უფრო შორს წავიდა მისვე ქვეყნის გაყიდვის საქმეში, ქვეყნისა რომელსაც ჰყავს სუსტი პროფკავშირები.

მაია გახლდათ ძლიერი 100 000 წევრიანი ორგანიზაციის არჩევანი, რომელიც წარმოადგენს მასწავლებლებს და მეცნიერ მუშაკებს საქართველოში. მას უხმეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და შესთავაზეს პოსტიდან გადადგომა, რათა იგი ჩაენაცვლებინათ იმ ქალბატონით, რომელიც არც კი იყო ორგანიზაციის წევრი. მაიას სანაცვლოდ შესთავაზეს კომფორტული სამსახური განათლების სამინისტროში, რაზეც მან უარი განაცხადა. ქართული ანდაზის მიხედვით მან განაცხადა ” ისინი ცდილობდნენ გადაეტეხათ ჯოხი ჩემს თავზე” . მისი თანხმობა ასეთ გარიგებაზე ნიშნავდა გაეყიდა მისი წევრები და გაენადგურებინა გაერთიანების

ვაჭრობის მექანიზმები. შემდეგ კი გაერთიანება გარდაიქმნებოდა ისეთ "პუდელ" ორგანიზაციად, როგორი პროფკავშირებიც არსებობდა საბჭოთა კავშირის დროს.

როდესაც გაცხადდა, რომ მაია არ აპირებდა თანამშრომლობას, განხორციელდა შემდეგი: ის გააფრთხილეს, რომ ყოფილიყო ფრთხილად და შეახსენეს იმ ადამიანის შესახებ, რომელიც ერთი წლის წინ იქნა მოკლული იდუმალ ვითარებაში. მაია დარწმუნებულია, რომ ეს არის ფარული მუქარა მისი სიცოცხლის წინააღმდეგ.

თბილისში, ბრიტანეთის საელჩოში, გუშინ ჩვენი დელეგაცია შეხვდა მაიას და ორგანიზაციისს სხვა ლიდერებს. ბილ ბარეტს , რომელიც გახლავთ ლორდთა პალატის წევრი და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ლიდერი, ჰქონდა შესაძლებლობა მაიასთვის მიეცა რჩევა იმის შესახებ თუ როგორ შეიძლებოდა ამ საკითხს მისცემოდა საერთაშორისო სახე. ბილი იყო საერთაშორისო საპარლამენტო გაერთიანების ჩვენი დელეგაციის წევრი.

აღნიშნული დელეგაციის ყველა წევრი, რომელთა შორის გახლათ სამი კონსერვატორიც და ოქსფორდის, რიჩად ჰარის დამოუკიდებელი, ყოფილი ეპისკოპოსი, შეძრწუნებულნი იყვნენ პროფკავშირების უფლებებზე განხორციელებული ამ მუქარით. საქართველოს მთავრობას უნდა რცხვენოდეს, რადგანაც აღნიშნული ქცევა ვერ იქნება შეწყნარებული იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფიქრობენ რომ შეუერთდნენ ევროპული ერების ოჯახს.

http://paulflynnmp.typepad.com/my_weblog/2011/02/breaking-a-stick-over-maias-head.html